ქ. თბილისის მერიის არქიტექტურის სამსახურს

კრწანისის ქ. 3 მიმდებარე ნაკვეთების მცხოვრებთა ერთობლივი

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

მოგახსნებთ, რომ კრწანისის ქ. #3 ის მიმდებარე ნაკვეთები განლაგებულია ქუჩის ჩიხში, იკავებს ჩეხური პროექტის კორპუსებისა და სამედიცინო უნივერსიტეტის „გეომედი“ უკანმდებარე ტერიტორიას და სამმხრივ მოქცეულია ბუნებრივ „კედლებს' -ბორცვებს შორის, რომელთა გასწვრივ, მარჯვნივ განლაგებულია 6, ხოლო მარცხნივ- 2 ახალაშენებული კერძო სახლი. რიგით ბოლო სახლი მარჯვენა რიგში მისი მფლობელების-ხარებავების მიერ ახლახანს გაიყიდა სამშენებლო კომპანიაზე, რომელსაც წინასწარი ინფორმაციით, უნდა აეშენებინა 5 სართულიანი, 10-12 ბინიანი საცხოვრებელი კორპუსი.

თავისთავად კორპუსის იდეა კერძო სახლებიან, მცირე ზომის, ჩიხში მოქცეულ ქუჩაზე, იმთავითვე მიუღებელი აღმოჩნდა ჩვენთვის, მაგრამ როცა გაირკვა, რომ გამყიდველ-მყიდველს შორის არსებული შეთანხმებით, **ამავე კორპუსში უნდა დაკმაყოფილებულიყვნენ გამყიდველები, ანუ ჩვენი მრავალი წლის მეზობლები,** აღნიშნულს გაგებით მოვეკიდეთ და გარკვეული პირობების (გზიდან დაშორების, სამანქანო გზისა და სადგომის) შესახებ სიტყვიერი შეთანხმებით დავკმაყოფილდით. ამასთან, როგორც წესია, მოვითხოვეთ პროექტი სამშენებლო კომპანიისგან.

2 დღის წინ მივიღეთ 8(!) სართულიანი, თითო სართულზე 4 ბინიანი(!) კორპუსის მოდელი, რომელიც გზის პირას არის განლაგებული და ბოლო ორი ახალაშენებული სახლის წინ აქვს საკუთარი სადარბაზო და სამანქანე შესასვლელი გზები.

ასეთ პირობებში დღის წესრიგში დგება არაერთი საკითხი, რომელთაგან ყველაზე მნიშვნელოვანია:

ა) არსებული ფართიდან გამომდინარე, გაუგებარია, ამ კორპუსის ბინადართა მინიმუმ **25-30 მანქანის სადგომი მოედანი** როგორ უნდა მოეწყოს კორპუსის უკან.

ბ) ყოველდღიურად ამ პატარა ჩიხში უნდა იმოძრაოს დამატებით 32 ოჯახის ბინადარმა, რაც ამ პატარა შესახევევს ჩვეულებრივ, ხმაურიან სამოძრაო ქუჩად აქცევს, ხოლო მანქანებით გადაადგილების შემთხვევაში უნდა იაროს კორპუსის

მაცხოვრებელთა 25- 30 -მა მანქანამ, **რომლებიც ერთმანეთს გვერდს ვერ აუქცევენ შემხვედრი თუ ერთი მიმართულებით ერთდროულად მოძრაობის შემთხვევაში.**

გ) მნიშვნელოვანი პრობლემაა ის **მტვერი და ხმაური,** რომელიც ამდენი ოჯახის დასახლებასა და მოძრაობას მოჰყვება.

დ)ასევე, გასათვალისწინებელია უკვე მესამე- მეოთხე სართულიდან მოყოლებული ბოლო სართულამდე განლაგებული ბინებიდან **კერძო სახლების ეზოების სრული ხილვადობა**

ე)მეტად მნიშვნელოვანია კერძო სახლებისათვის **არსებული ბუნებრივი თუ ქალაქის ხედების დაფარვა**

ვ) გარდაუვალია, ასევე, დღის მეორე ნახევარში **მზის დაჩრდილვა** კორპუსის მიერ მისი სიმაღლის გამო.

ზ) შესასწავლია და დასასაბუთებელია **ქანების სიმყარე** და მშენებლობის პროცესში და შემდგომ პერიოდში ახლომდებარე სახლებისა და მაცხოვრებლების **უსაფრთხოების გარანტია,**

თ)და ბოლოს, კორპუსის აშენების ადგილზე ბორცვის ჩამოჭრა და მცენარეების მოჭრა იმ უნიკალურ **მიკროკლიმატს** დაარღვევს, რომელიც აქ იქმნება, რაც დამატებით დისკომფორტს უქმნის აქ მაცხოვრებლებს.

ი)გასათვალისწინებელია ახალი მაცხოვრებლების ინტერესებიც, რომელთაც საკმაოდ ხანგრძლივი იპოთეკური სესხი აიღეს საკუთარი სახლების აშენებისათვის და ამ რისკზე მხოლოდ ადგილის სიმშვიდის, ხედის და მიკროკლიმატის გამო წავიდნენ საკუთარი ოჯახების წევრების ასაკისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის გათვალისწინებით. ამ წუთას კი გამოდის, რომ ყველა ეს პირობა ერღვევათ, რაც აზარალებს მათ მატერიალურ და მორალურ მდგომარეობას.

გვსურს დავაფიქსიროთ, რომ მზად ვართ, გაგებით მოვეკიდოთ სამშენებლო კომპანიისა და გამყიდველის ინტერესებს, მაგრამ ამასთანავე, ამ ინტერესების რეალიზებისას არ გვსურს, დაირღვეს ჩვენი კანონიერი უფლება, გავაგრძელოთ ცხოვრება წყნარ, უხმაურო, უმტვერო გარემოში, არსებული ხედის, მზიანობისა და მიკროკლიმატის შენარჩუნებით.

შესაბამისად, ჩვენი მოთხოვნაა, შესაბამისმა სამსახურმა **ადგილზე შეისწავლოს ვითარება, გამოყოს მულტიდისციპლინარული საექსპერტო კომისია,** რომელიც

განიხილავს ქანების სიმყარის, მშენებლობის პროცესის უსაფრთხოების, სართულების რაოდენობის, სამანქანე გზისა და სადგომის შესაძლებლობების, ხედებისა და მზიანობის, კერძო სახლების ეზოების ხილვადობის საკითხებს, და **შეიმუშავოს ობიექტური დასკვნა,** რომლითაც გათვალისწინებული იქნება არამარტო მყიდველის მატერიალური და გამყიდველის კომერციული ინტერესები, არამედ ქუჩის მაცხოვრებელთა მოქალაქეობრივი და ადამიანური უფლებები უსაფრთხო და ჯანმრთელ გარემოში ცხოვრების შესახებ, მით უმეტეს მაშინ, როცა ასეთი გარემოსთვის ამ მოქალაქეების მიერ გადახდილია არც თუ მცირე თანხები.

იმედი გვაქვს, ჩვენი წერილის საპასუხოდ ადგილი ექნება საკითხის დროულად, ყურადღებით, მიუკერძოებლად და პროფესიონალურად განხილვას.

წინასწარ მოგახსენებთ მადლობას

პატივისცემით, კრწანისის ქ #3 მიმდებარე ნაკვეთების მაცხოვრებლები:

[illegible] 01027016771 /[illegible]/

[illegible] 45001006779 /[illegible]/

[illegible] 01015007303 /[illegible]/

[illegible] 01025005031 /[illegible]/

[illegible] 01015004354 /[illegible]/

[illegible] 01012028965 /[illegible]/

[illegible] 01015018836 /[illegible]/